საქართველოს მთავრობის განკარგულება

N1571 2015 წლის 20 ივლისი ქ. თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ფიზიკური პირებისათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ამ განკარგულების დანართში მითითებულ ფიზიკურ პირებს პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად, 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაეცეთ ამავე დანართით განსაზღვრული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება.

2. საპრივატიზებო პირობებად განისაზღვროს:

ა) საპრივატიზებო თანხის გადახდა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეში;

ბ) ამ განკარგულების დანართში მითითებული ფიზიკური პირების მხრიდან სახელმწიფოს მიმართ ქონებრივი ან სხვა სახის ზიანის ანაზღაურებაზე, ასევე, ყოველგვარ მოთხოვნაზე, საჩივარზე, სარჩელზე უარის თქმა, როგორც საქართველოს საერთო სასამართლოებში, ისე ნებისმიერი სხვა ქვეყნის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ან/და არბიტრაჟში.

3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა

- სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

საქართველოს მთავრობის
2015 წლის 20 ივლისის
№ 1571 განკარგულების

დანართი

№	მოძრავი ქონების დასახელება	შემძენი
1	ავტომობილი „MERCEDES-BENZ ML 350“, ს/კ 4JGBB86E06A051596 და ავტომობილი „HYUNDAI SONATA“ ს/კ KMHEC41CBBA193230	გიორგი რეხვიაშვილი პ/ნ 01008021177
2	ავტომობილი „VOLKSVAGEN PASSAT 3 CC“ ს/კ WVWZZZ3CZBE734703	პაატა რატიანი პ/ნ 12001006400
3	ავტომობილი „VOLKSVAGEN PASSAT“ ს/კ WVWZZZ3CZCP009401	პარსამ ზალინიანი პ/ნ 01011015216
4	ავტომობილი „LAND ROVER SPORT“, ს/კ SALSK25409A192448 და ავტომობილი „CHRYSLER 300 M“ ს/კ 2C3JA53G55H592526	გივი თოდაძე პ/ნ 13001020020